შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ამერიკისმცოდნეობის პროგრამა

საბრძოლო სტრატეგიული კულტურა - 21-ე საუკუნის ახალი ფენომენი: სამხედრო ლიდერობის ტრანსფორმაცია აშშ-ს მაგალითზე (1960-2010)

ჯონათან გერდეს სკოტ

სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი ამერიკისმცოდნეობაში

თბილისი, 2019

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **პროფესორი, დოქტორი ვახტანგ მაისაია**

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

თანა-ხელმძღვანელი: **პროფესორი Emeritus დევეი ბროუდერი**



(თანა-ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სრული სახელი და აკადემიური წოდება):

1. **ასოცირებული პროფესორი, დოქტორი გიორგი შადური**

2. **პროფესორი, დოქტორი ნიკა ჩიტაძე**

ოპონენტები (სრული სახელი და აკადემიური წოდება):

1. **დოქტორი ანჟეი კლიმჩიკ**

2. **ასოცირებული პროფესორი, დოქტორი მამია სურმავა**

შესავალი

წინამდებარე დისერტაციის კვლევის საგანს წარმოადგენს ამერიკის სტრატეგიული კულტურა 1960-2010 წლებში განვითარებული ცივი ომისა და მის შემდგომ პერიოდში. მისი განსაკუთრებული ყურადღების საგანია სტრატეგიული კულტურისათვის დამახასიათებელი ისეთი თვისებების განსაზღვრა, რომლებიც დროთა განმავლობაში დაკნინდა ან სულაც გაქრა, აგრეთვე მისი შემორჩენილი ელემენტებისა და იმ თვისებებისა, რომლებიც ამერიკის დღევანდელი სტრატეგიული კულტურისათვის დამახასიათებელ თვისებებად იქცა, რომელსაც მე მეომრული სტრატეგიული კულტურა ვუწოდე. მოცემულ კვლევაში ასევე გამოკვეთილია ცვლილების გამომწვევი ფაქტორები, გავლენები - ის ცვლადი გარემოებები, რომლებმაც ამერიკის სტრატეგიული კულტურა 1960-იანი წლების დასაწყისში არსებული ფორმიდან და თვისებებიდან ყველანაირი გზებით იმ თვისებებამდე მოივანეს, რომელთა არსებობასაც როგორც წინა, ასევე უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში აქ ვამტკიცებ. ჩემი კვლევა დიდწილად მიჰყვება შესწავლის ამ სფეროსადმი კონსტრუქტივისტულ მიდგომას. ნაშრომში შიგადაშიგ გამოყენებულია შინაარსის ანალიზის, გასაუბრებების, კონკრეტულ შემთხვევაზე დაფუძნებული კვლევისა და გამოკითხვების ინსტრუმენტები. ამავე დროს, მე გამოვიყინე სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი მიდგომა, რომელიც ასახავდა უსაფრთხოებისა და სტრატეგიული კვლევების კავშირს სხვა ეროვნული ძლიერების მიმართულებებთან, რომლებიც არიან ძალიან სასარგებლო. ამას ეწოდება „DIME“ (დიპლომატიური, საინფორმაციო, სამხედრო და ეკონომიკური ანალიზი). აქედან გამომდინარეობს, რომ სტრატეგიული კულტურა წარმოადგენს იმ მიმართულებას, რომელსაც თავისი როლი ენიჭება ისეთ სფეროებში როგორებიცაა სტრატეგიული კვლევები, უსაფრთხოება და საერთაშორისო ურთიერთობები. შრომას მრავალი კუთხით წაადგა და პირველ რიგში აღნიშვნის ღირსია თუკიდიდე. იმ ავტორებსა და ისტორიკოსებს შორის, რომელთა ნაშრომები ფართოდ გამოიყენება უმაღლესი დონის პროფესიულ სამხედრო განათლებაში, თუკიდიდეს შრომები პელოპონესის ომის შესახებ მნიშვნელოვანი გამოდგა ჩემი კვლევისთვის იმით, რომ მათში განხილულია ქვეყნის

სიძლიერისა და სტრატეგიული გარემოს მეომრული კულტურა; ამასთან, მისი შრომები საზღვაო ძალებსა და კულტურას შედარებით უფრო ნაკლებ ყურადღებას უთმობს. სწორედ ასეთი ურთიერთკავშირი კარგად წარმოჩინდა ცივი ომის პერიოდში და გასული საუკუნის 70-იან წლებში განსაკუთრებით, როდესაც ეს კავშირი აღმოჩნდა საკმაოდ მყარი და სოლიდური. სწორედ ამჟამად თეორიულ კვლევებში მას ეწოდა „სტრატეგიული კულტურა“.

ამ ნაშრომის და კვლევის პარამეტრების შეცნობისთვის, სტრატეგიული კულტურა, უფრო სწორად, ამერიკული სტრატეგიული კულტურა, თამაშობს გარკვეულ როლს ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული, ისტორიული, სოციალური განვითარებისთვის, რაც კიდევ უფრო ამყარებს ამერიკატცოდნეობის სულისკვეთებას. ამერიკული სამთავრობო სისტემის თავისებურებაა ის გარემოება, რომ პოლიტიკური ლიდერშიპის არჩევა ხორციელდება არჩევნების მეშვეობით და ამგვარად შერჩეულ პოლიტიკოსებს გააჩნიათ გარკვეული სახის პასუხისმგებლობა და აღნიშნული მას ეხმარება იყოს გადაწყვეტილების მიმღები. ასეთი ლიდერების პირდაპირი უფლებამოსილებანი გაწერილია ქვეყნის კონსტიტუვიაში: ხალხის უსაფრთხოების უზრუნველყოფა - ეროვნული თავდაცვის მეშვეობით. სწორედ ასეთი გადაწყვეტილების მიმღებებზე გავლენას ახდენენ ამომრჩევლები და მთლიანად, ამერიკულ სისტემაზე გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრი და აღნიშნული უშუალოდ მოქმედებს იმათზე, ვისაც შემდეგ არჩევნებზე აირჩევენ. ლიდერები და პოლიტიკოსები ითვალისწინებენ ხალხის განწყობას და პოლიტიკურ ნებას, მათ შორის ისეთ სფეროებშიც როგორებიცაა თავდაცვა, კონფლიქტი და სამხედრო საქმე, სადაც მოღვაწე პირები, არჩევენ კონკრეტული სახის გადაწყვეტილებებს კონფლიქტების დროს ან სამხედრო მისიების შესსრულებისას. წარსულის გარკვეული სახის მომენტები განსაზღვრავენ ელექტორატის მიდგომებს და განწყობებს სამხედრო სფეროსა და კონფლიქტების მიმართ.

ისინი ვინც კარგად იცნობენ ამერიკის ისტორიას აღიარებენ მოქმედი არმიების გავლენას ამერიკელების მიდგომებზე სამხედრო სფეროს მიმართ. შედეგები, რომლებსაც დებენ ბევრი სამხედრო ისტორიკოსები, საკმაოდ ნათელია. ემიგრანტები რომლებიც

ტოვებენ ძველ სამყაროს ამერიკული სანაპიროების სასარგებლოდ, იყვნენ საკმაოდ ფრთხილი მოქმედი არმიების თაობაზე, თვლიდნენ მათ რეპრესიულ მანქანად, ზოგიერთი ამბობდა რომ ისინი სახელმწიფოს მიერ შექმნილი სამხედრო ჯგუფებია პოლიტიკური დისიდენტების და უმცირესობათა უფლებების ტერორიზირებისთვის. ამის მიუხედავად, რამოდენიმე გამოინაკლისებიც იყვნენ, მაგალითად, კვაკერები ან მოგვიანებით ამიშები, მცირე ემიგრანტთა ჯგუფები, დაახლოებით იმავე სულისკვეთებით ან სოციალური მიდგომებით, ჩამოსულები აშშ-ში, უარყოფითად აფასებდნენ მოთხოვნას დაეცვათ ნასახლარები ან საკუთარი მეურნეობა აღიარებულ საზღვრებში - მილიციის სახით. ამ ძალის ეფექტურობის, სანდოობის ან პრევენციის მაჩვენებლის მიუხედავად, მილიცია წარმოადგენდა ჩვენი სტრატეგიული კულტურის ნაწილს. საზღვრების გადალახვის სიმცირისა და საექსპედიციო სამხედრო მისიების ნაკლებობის ფონზე, ჩვენ ხალხსა და ჩვენ ლიდერებს/პოლიტიკოსებს ჰქონდათ ნაკლები ინიციატივა განეხორციელებინათ ექსპანსიური ან დიდი მოქმედი ძალები. ამრიგად, ზოგიერთები თვლიან, რომ იზოლაციონალიზმი იყო ჩვენი მიდგომა და ხედვა საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ ამავე დროს მას ჰქონდა გავლენა ჩვენს სამხედრო მზაობასა და მცირე რეგულარული ძალებისა და მილიციის ადექვატურად გასაძლიერებლად.

რამოდენიმე სამხედრო ისტორიკოსი ნათლად გამოხატავს იმ მოსაზრებას, რომ ჩვენი თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმი, ჩვენი კეთილდღეობის ძიება და ეკონომიკური წარმატება ჩვენსავე კარგად შექმნილ გარემოში, ქმნის გავლენას სამხედრო საკითხებზე და უკვე შექმნა დიდი ბიძგი სწრაფი დემობილიზაციისთვის და სამხედროების „ჩათრევაში“ კონფლიქტში ან კრიზისის დაძლევაში (Bacevich, 2013; Millet, Maslowski & Fies, 2012). სამხედრო დანახარჯების და სამხედრო მოსამსახურეების შემცირების სურვილი უკავშირდება დამაზიანებელ საგანგებო ვითარებისადმი შემცირებაში და მზაობის დაკნინებაში, რომელიც შეიქმნა პარადიგმად 20-ე საუკუნეში. მე მჯერა რომ ეს პარადიგმა ჯერაც კიდევ ძალაში თანამედროვე ჩვენი სტრატეგიულ კულტურისთვის მაგრამ ის სხვადასხვაოების რგოლი რომელიც, მომდინარეობს

წარსულიდან და ქმნის სერიოზულ საფრთხეს იმაზე, თუ როგორ ვმოქმედებთ ჩვენ მსოფლიოში. ამიტომაც, სხვა მომიჯნავე კვლევების კუთხით, ეკონომიკა იყო და არის დამოკიდებული სტრატეგიაზე დიდი ტრენდი და მაკრო-დონეზე ძალების რეკრუტირება აუცილებელი რამ არის მიღწეული ის მიზნები, რომლებსაც სახავენ ჩვენი ლიდერები (Scott, 2019).

მუსიკა, ლიტერატურა, ტელევიზია და ფილმები, ყველა სახის მოხსენებები რომლებიც არიან ჩვენი საერთო კულტურას გამოხატავდა ორივე მომენტს - როგორც ჩვენს ხედვას სამხედრო სფეროსა და კონფლიქტისადმი, ასევე იმასაც, რომ თუ როგორ შეიძლება შეცვალო ისინი. როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლები ხმამაღლა აკრიტიკებენ ახალი თაობის წამომადგენლებს, ასევეა კოლექტიური ხედვა იმაზე, თუ როგორ და რა ფორმით შეიცვალა სამხედრო სფერო და კონფლიქტი - ტელევიზია აჩვენებს და პოპულარული ჟურნალების სტატიები, ღიად თუ ფარულად, მხარს უჭერდნენ ცვლილებას. აშშ წარმოადგენს დიდი ერს, არა მარტო ტერიტორიის და მოსახლეობის მიხედვით, არამედ ხალხის მრავალფეროვნებაში. რამოდენიმე უკვე მიღებული დებულებების, რწმენების და ხედვის მიუხედავად, რომ მისი ხალხის დინამიური ბუნება თავისი ფართო რწმენებით და პრაქტიკებით იოლად ქმნის პირობებს უფრო მეტი ცვლილებებისთვის, რომლებიც შეეხება კოლექტიურ იდენტურობას ან ხასიათს.

პრობლემის განსაზღვრა

სტრატეგიული კულტურა რჩება სტრატეგიული კვლევების განუყოფელ ნაწილად მაგრამ რჩება მცირე სახის სამეცნიერო მიდგომების, რომლებიოც ასახულია მაჰნკენის და ჰარისის ნაშრომებში და სადაც ნათლად არ არის მაინც გამოკვეთილი რა ადგილი და როლი უკავია საერთოდ სტრატეგიულ კულტურას თუნდაც სტრატეგიული კვლევების ფორმატში. სამწუხაროდ საკმაოდ მწირი სამუშაოა შესრულებული იმისთვის, რომ დადგინდეს რატომ არ არის ყურადღება გამახვილებული იმავე სტრატეგიულ კვლევებში სტრატეგიული კულტურის რაობაზე. უკვე არსებული ლიტერატურული წყაროები

გვაძლევს ძალიან მცირე საშუალებას საზოგადოებრივ წარმოდგენებზე თუ როგორი უნდა იყოს პოპულარული წარმოდგენები თავდაცვისა და კონფლიქტების მიმართ სუილ მცირე ხუთი ათეული წლის განმავლობაში. მკაფიოდ გამოკვეთილი ცვლილებები, რომლებიც დაფიქსირდა ამერიკულ საზოგადოებაში ამცირებს გავლენას წინა თაობის მხრიდან და ლიდერობის ესტაფეტის გადაცემის საშუალებას კიდევ უფრო ამცირებს და ამ ფენომენს უკვე ნაკლები ყურადღება ეთმობა.

კვლევის მიზნები

1. გასული საუკუნის 60-იან წლებიდან მოყოლებული ამერიკული სტრატეგიული კულტურის თეორიული პოსტულატების ვარგისიანობის ან შეუთავსებლობის გამოვლენა
2. ცივი ომის, შემდგომი ცივი ომისა და პოსტ-ცივი ომის პერიოდებში ამერიკული სტრატეგიული კულტურის გავლენების იდენტიფიცირება.
3. ცივი ომის, შემდგომი ცივი ომისა და პოსტ-ცივი ომის პერიოდის ამერიკული სტრატეგიული კულტურის ცვლილებების და მიდგომების გამოვლენა.
4. ცივო ომის პერიოდიდან პოსტ-ცივი ომის პერიოდამდე ამერიკული სტრატეგიული კულტურის შეუსაბამობის და შეუთავსებლობის გარემოებების გამოვლენა.
5. თანამედროვე აშშ-ს სტრატეგიული კულტურის იდენტიფიცერბა.

ნაშრომის თეორიული კვლევის ჩარჩო აგებულია პირველადი და მეორადი წყაროების ანალიზზე. მეორადი წყაროები მოიცავენ წიგნებს ისეთ აკადემიურ სფეროებში გამოყენებულს, როგორებიცაა თავდაცვა, სტრატეგიული კვლევები, სოციოლოგია, კულტურის კვლევები, საერთშორისო ურთიერთობები და ამერიკის ისტორია. ასევე გამოყენებული იქნა პროფესიული ჟურნალები, რომლებიც ეხება სამხედრო მეცნიერებას ასევე სხვა აკადემიურ ჟურნალებს.

პირველაიდ წყაროები კი მოიცავენ იმ ახალ სტატიებს, პოპულარულ ჟურნალებს, სამთავრობო პუბლიკაციებს, მოხსენებს, სპეციალურ გამოცემებს, პოლიტიკური

პარტიების კონცეფციებს, ისევე როგორც მუსიკალურ და გასართობი პროგრამების ელემენტებს.

საკვლევი კითხვები

1. რა არის ამერიკული სტრატეგიული კულტურა და რა ფაქტორებს ეყრდნობა ის?

2. რაში გამოიხატება ამერიკული სტრატეგიული კულტურის თეორიული შეზღუდვები; სად იკვეთება მისი გარდამავლობა და რას წარმოადგენენ ის ცვლადები, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ ამერიკული კულტურის არსი?

3. რას არ წარმოადგენს უკვე ამერიკული სტრატეგიული კულტურის ფაქტორები?

ჰიპოთეზა

მიმდინარე სტრატეგიული კულტურა ამერიკაში ეფუძნება იმ მიმდინარეობებს, რომლებიც წინა თაობებიდან მომდინარეობს მაგრამ ასევე ის ასახავს იმ ცვლილებებსაც რომელიც ასახავს იმ ცვლილელებს რომელიც აიასახება ასევე ერის განვითარებაში ფართო მასშტაბებში. ამათგან ყველაზე მსხვილ გამოვლენებს წარმოადგენს კონფლიქტის წარმოჩენა, რომელიც მიმართული იქნება და შეუძლია შეცვალოს წვევამდელთა მცირე ნაწილის ფსევდო მიდგომა რაც გამოიხატება სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა მსახურობის კლასიკური თეზისის უარყოფას ან შეცვლას.

კვლევის მეთოდები

აღნიშნული კვლევა შერეულ კვლევის მეთოდებზეა აგებული, რომელიც ძირითადად აგებული ხარიხსობრივ კვლევებზე. კულტურა და განსაკუთრებით, კულტურა, რომელიც უკავშირდება სამხედრო სფეროს, კონფლიქტებს და ძალას, აშშ-ში არ წარმოადგენს იმ განზომილებას რომლის მეშვეობითაც შეიძლება შეფასდეს ჩამულობა, ჰობი და ასევე ოჯახური ურთიერთობები. სხვადასხვა სახის თაობების ინტერპრეტირება მათი განწყობებისა და რწმენენბის შესახებ გამოხატული გამოცემების, გაზეთების, სპიჩების და ბროშურების სახით ასევე იყო მნიშვნელოვანი.

კონტენტ-ანალიზი, კონკრეტულად წარმოადგენს მთავარ ღერძს კვლევების ჩატარებისას, ისევე როგორც ზემოაღნიშნული წყაროების დამუშავებისას, ისევე როგორც სამხედრო დოქტრინა და სამხედრო პროფესიული ჟურნალები წარმოადგენენ სასარგებლო საშუალებებს, რომლებიც კარგად ხსნიან ლინგვისტიკურ ცვლილებებს მძიმე ჯარისკაცული საუბრებისგან, უფრო ხშირად გამოყენებად ლინგვისტიკურ მოდელებზე მეომრებსა და პიროვნებებს შორის გამოყენებულს. აღნიშნული მეთოდი იყო კარგად ადაპტირებული ჯარისკაცთა რეკრუტირებისას და იმ ფაზების პერიოდისას, როდესაც სრულდება რეკრუტირების ვადა და იწყება ე.წ. „ყველა-მოხალისეთა ძალების“ ჩამოყალიბება.

რამოიდენიმე სტატისტიკური ანალიზის მეთოდი, რომელიც გამოყენებული იქნა კვლევის ჩატარებისას, წარმოადგენენ ონლაინ გამოკითხვებს მოსახლეობის ორ მნიშვნელოვანი ჯგუფებს. ამას ერთად, მოკლე სამოქალაქო ჯგუფის გამოკითხვის ფონზე, ანალოგიური გამოკითხვა ჩატარდა სამხედროებშიც, რომელთა შედეგებიც ასახულია მესამე თავში და ასევე შეიძლება უფრო კარგად იქნას ახსნილი დანართებში. დამატებით, ინტერვიუები, რომელიც ჩაუტარდათ გადამდგარ სამხედრო ოფიცრებს, ღია კითხვების საფუძველზე, კიდე უფრო სიღრმისეულად ასახავენ კვლევის შედეგებს იმავე პერიოდში.

მეთოდოლოგია

სტრატეგიული კვლევები წარმოადგენს რეალიზმის დომინანტ კონცეფტს, რაც შეეხება პოლიტიკას, კერძოდ ამერიკის პოლიტიკა პირდაპირ მიბმულია ლიბერალურ მიდგომასთან. სტრატეგიული კვლევების მკვლევარები განიხილავდნენ ქვეყნის ქმედებას ძირითადად ინტერესისა და ძალის კუთხით. ქვეყნები მოქმედებდნენ ისე როგორც მათთვის იყო სასურველი და რაც განაპირობებდა მათ გავლენას და ძლიერებას ან ძალაუფლებას. მსოფლიო დონე სავარაუდოდ ამ მსოფლმხედველობას უჭერს მხარს და ამ თეორიის არსი კარგად იკვეთებოდა ცივი ომის პერიოდში. რამოდენიმე მკვლევარი განიხილავს რა საგარეო პოლიტიკას ლიბერალიზმის პრიზმაში რომელიც უფრო მიესადაგება აშშ-ს ქმედებებს მსოფლიოში. ისინი ასკვნიან რომ აშშ მოქმედებდა

თანამშრომლობითი ფორმატის ფარგლებში, რომლის დროსაც მცირდებოდა კონფლიქტი და საკითხები წყდებოდა ან რბილდებოდა დაპირისპირება. ამ თეორიის ორივე ჩარჩო არის ფართო და დამოკიდებულია ცვლადებზე რომლებიც იმართებიან ქვეყნის გარეთ. მაგრამ ცივი ომის დასასრულს რეალიზმის მიმართულება შემცირდა და ბევრი მკვლევარი მშვიდობიანი მსოფლიოს მოწყობას განიხილავდა, რომელიც ნაკლებად იყო დამოკიდებული ძალასა და უფრო მეტად მშვიდობიან გლობალურ აღქმაზე (Baylis, Wirtz, and Gray, 2017). სტრატეგიული კულტურის თეორია, მისი პირველი წარმომავლობიდან გამომდინარე, რომელიც განავითარეს ისეთმა მკვლევარებმა როგორებიც იყვნენ სნაიდერი და გრეი, უფრო მეტად იხრებოდა იმ ისტორიულ განვითარების მოდელზე, თუ როგორ იმოქმედებდნენ სუპერ-სახელმწიფოები და ნაკლებად ძლიერი აქტორები მომავალში. ჯეკ სნაიდერი ასკვნიდა რომ საბჭოთა კავშირის ქმედებები ეფუძნებოდა მის წარსულის გამოცდილებას (Snyder, 77; Johnston, 1995).

მე არ შემეძლო განმეხილა ჩემს კვლევაში იმ შეზღუდული პერსპექტივის კონტექსტში რას ნიშნავს ამერიკული სტრატეგიული კულტურა. აშშ არის ძალიან დიდი, დინამიური და ფართო რომ მოგვეცეს საშუალება უფრო განსაზღვრულადა და ნაკლებად ფლუიდურად განხირციელდეს ამ მიმართულებით კვლევა. აქედან გამომდინარე, ძაფები რომეოიც იკვეთება ამ კვლევაში უფრო მეტად შეესაბამება კონსტრუქტივიზმის თეორიულ ჩარჩოს.

სტრატეგიული კულტურა არის ასევე წარმოდგენილი კონფლიქტის ციკლურობით, მშვიდობის, მზაობით ვიდრე კონფლიქტისადმი დაბრუნებით რომელიც ასევე გულუხვი იყო ამერიკულ ისტორიაში. ეს არის მატერიალური და იდეალისტური მოვლენების შერეული ვარიანტი, ზოგიერთი უფრო სტატიკური და გავლენიანი ხანგრძლივ დროის ოპერიოდში, ვიდრე სხვები, რომლებსაც მოქმედებენ ასევე გავლენიან პირებზე და ცვლადებზე დროის პერიოდში. სასარგებლო კონსტუქცია ამერიკის სტრატეგიული კულტურისთვის არის კლაუზევიცის „სამეული“.[1] ის იცვლება და ადაპტირებდა

[1] კლაუზევიცის ღირშესანიშნავი „სამეული“ ასახულია მისი ნაშრომში „ომის შესახებ“ და წარმოადგენს იმ სამ ძალას, რომელიც აუცილებელია ომის საწარმოებლად. მოკლედ, ისინი წარმოადგენენ, (1) წინამდებარე ძალადობას, (2) ვარაუდის და შანსის გადათამაშება, და (3) პოლიტიკის პოლისს. რამოდენიმე მკვლევარი

რეალიზმის სკოლის ფარგლებში და ახდენს დემინსტრირებას სამხედრო ქმედებაში. მას შეაქვს წვლილი და საფუძველს ანიჭებს ლიბერალურ სკოლას. თავის მხრივ პოლიტიკოსები რომლებიც იცავენ რასაც რიჩარდ ჰოფსტადტერი აღნიშნავს „ცენტრალურ რწმენას“ ან კონსენსუსი ეკონომიკური ინდივიდუალიზმის და კერძო საწარმოს დონეზე (Serby, n.d.). მაგრამ ეს კვლევა ასოცირებას უკეთებს ამერიკულ სტრატეგიულ კულტურას კონსტრუქციზმთან.

სიახლე

სტრატეგიული კულტურა დაიმსახურა დიდი ყურადღება „ცივი ომის“ ბოლო პერიოდში როგორც სტრატეგიული კვლევების, ისევე საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარების მხრიდან, რომლებსაც სჯეროდათ რომ „ცივი ომის“ პერიოდში ჯერ კიდევ რჩება შეუსწავლელი საკითხები, რომლებიც ამ დარგის ფარგლებშიც მოიაზრება. კულტურა არის რთული სფერო, რომელიც განიხილავს თავის სადისკუსიო ფორმატში მისი გამოყენების შესაძლებლობას და საზღვარს ისეთ მიმართულებების ფარჰლებში, როგორებიცაა კონფლიქტი და სამხედრო დარგი (Bloomfield, 2012).

ამ კვლევის სიახლე მდგომარეობს პირველი, ის აფართოებს სადისკუსიო კითხვებს რომელიც შეეხება რა არის სტრატეგიული კულტურა და საიდან მოდის ის. ყველაზე გავლენიანი და ციტირებადი ნაშრომები, რომლებსაც იყენებდნენ მკვლევარები საკლასო ოთახებში ჯერაც აღიარებენ სტრატეგიული კულტურის გავლენას, როგორც სამეცნიერო მიმართულება თუმცაღა დიდი რუდუნებით აღიარებენ იმ სირთულეებს, რაც უკავშირდება მას. სტრატეგიული კულტურა მოითხოვს ნაკლებ კონკრეტიკას და ხშირად არგუმენტირებულ ანალიზს, რომელიც შეეხება მოქალაქეების სიტყვებს, მისწრაფებებს და განზრახვას. აღნიშნული კვლევა არის პირველი, რომელიც სცილდება აკადემიურ ჩარჩოს და ბანალური განმარტებები ამერიკული სტრატეგიული კულტურის ვპოულობთ ჟურნალებში და აღნიშნული წარმოადგენს იმის განხილვას, თუ რაოდენ

ასკვნის, რომ ეს სამი ძალა ეფუძნება ხალხს, არმიას და მთავრობას. მოცემული „სამეულის“ კონსტრუქცია წარმატებით არის ასახული სტრატეგიულ კულტურაში. ამის შესახებ მე ვსაუბრობ დისერტაციის მესამე თავში.

წინააღმდეგობრივია მისი არსი, როგორც ეს მაღლა იქნა აღნიშნული. ჩემი კვლევა უარყოფს იმ თანამედროვე ტრენდს, რომელიც პოპულარულია მკვლევარებს შორის, რომლებიც სურთ ისე წარმოაჩინონ სტრატეგიული კულტურა როგორც ამას განსაზღვრავენ ელიტის წარმომადგენლები.

მოკლედ, ჩემი კვლევა ასახავს იმ მოსაზრებებს ან ბმებს სადაც ცვლილება ხორციელდება, ისევე როგორც წყაროებისა ან იმ ცვლილებების გავლენებს, რომლებიც აისახება ამერიკულ სტრატეგიულ კულტურაში და გამოყოფს იმას რასაც მე ვუწოდებ მიმდინარე სტრატეგიულ კულტურას. ყველაზე საუკეთესო განმარტება იმისა, თუ რა არის ჩვენი მიმდინარე ამერიკული სტრატეგიული კულტურა, მე ვხედავ როგორც ტერმინი გამოიყენება იმ მცირე უმცირესობის მიერ ან იმ ამერიკელი კასტას მიერ რომლებიც ირჩევენ კონფლიქტის მართვაში ჩარევას ან იმ ოპერაციებში ჩართვას ვიდრე ეს ომია - აი სწორედ ეს არის მებრძოლის სტრატეგიული კულტურა.

პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულებაა ის რომ გადაწყვეტილების მიმღებ ან პოლიტიკის დამგეგმავ პირებს მიეცემათ საშუალება ნათლად დაინახონ საიდან მოდის სტრატეგიული კულტურა და როგორ უკავშირდება ის აშშ-ს. უფრო მნიშვნელოვანია, პოლიტიკოსებს ამ ნაშრომის საფუძველზე შეუძლია გაუჩნდეთ კითხვები რამდენად რადიკალურად განიხილება ლიდერების მოსაზრებები კონფლიქტისა და ძალის თაობაზე და რა დონეზე სტრატეგიული კულტურა იტანს მათ შეფასებების დონეს. 2003 წლის ერაყის ინტერვენციამ აჩვენა, რომ თუ არ არუს უგულებელყოფილი, მაშინ გადაწყვეტილება კონკრეტული ქმედების შესახებ რომელიც ეწინააღმდეგება ამერიკული სტრატეგიულ კულტურას. ამის საპირისპიროდ, მოწინააღმდეგის განვითარების აღიარება, ასევე შიდა პოლიტიკური ოპოზიციის აღიარება წარმოადგენს მის კაპიტალიზაციას.

თეორიული მნიშვნელობა ნაშრომის გამოიხატება იმაში, რომ მასში ასახულია ის ფაქტორები, რომლებიც სერიოზულ გავლენას ახდენს სტრატეგიულ კულტურაზე და

უფრო უკეთ წარმოაჩენს მის არსს. მოცემული კვლევა არის ნაწილობრივ პასუხი იმ მოთხოვნებზე, რომლებსაც მკვლევარები და მათი საზოგადოება ეძიებს, რათა უფრო სიღრმისეულად იყოს ახსნილი სტრატეგიული კულტურის აღმნიშვნელი ინდიკატორები და დამამტკიცებელი საშუალებები, რომელიც პირდაპირ იქნება ასახული კონკრეტულოი სახის ქმედებებში - კაუზიალურ შემეცნებაში (Johnson, 2006).

შეზღუდვები

აღნიშნული კვლევა განსაზღვრავს სამხედრო სფეროს სუბ-კულტურულ გარემოებებს მაგრამ არ განიხილავს თუ რა ფაქტორები საჭიროა მისი სიღრმისეული განხილვისთვის. ის კვლევები, რომლებიც უკვე განახორციელებული იქნა რამოდენიმე მეცნიერის მიერ ამტკიცებენ, რომ სტრატეგიული კულტურა არის ზოგადად კოლექტიური კულტურის განმსაზღვრელი და შეადგენს სამხედრო სფეროს სუბ-კულტურას. ჩემი კვლევა არ ეძიებს ამ თეზისის ან უარყოფას, ან მხარდაჭერას.

აღნიშნული კვლევა მოიცავს დროის იმ დინამიურ პერიოდს, როდესაც ხდებოდა აქტორთა აზროვნების ცვლილებები და სტრატეგიული კულტურისადმი მიდგომების სხვა კუთხით წარმოჩენა ამ პერიოდში. ამიტომაც უფრო სიღრმისეული განხილვა სტრატეგიული კულტურის ფენომენის მაინც შეზღუდულია სალიტერატურო წყაროებისა, დროის სიმწირის გამო, რომელიც არ იძლევა ამერიკული სტრატეგიული კულტურის სიღრმისეულად შესასწავლად.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია სტრუქტურულად მოიცავს: შესავალს, სამ თავს, დასკვნას, დანართებს და დამატებებს. დამატებების მოიცავენ ასევე სოციოლოგიურ კვლევების შედეგებს და ინტერვიუებს.

პირველი თავი - მეომრული სტრატეგიული კულტურის კრიტიკული განხილვა და სტრატეგიული კულტურის თეორია

დისერტაციის პირველი ნაწილში წარმოდგენილია ტერმინ „მეომრულ სტრატეგიულ კულტურასთან“ დაკავშირებული როგორც ლიტერატურის, ასევე თეორიული მასალის კვლევა. კვლევის მეთოდოლოგია მდგომარეობს ერთიანი ტერმინის დაშლასა და მისი ნაწილების შესწავლაში დისერტაციიდან გამომდინარე შედეგის ნათლად განსაზღვრისა და მისთვის დახმარების გაწევის მიზნით. პირველი ტერმინ „კულტურის“ მიმოხილვაა წარმოდგენილი. კულტურა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩემს კვლევაში, როგორც უწყვეტი ცნება, ეს არის ის, რასაც გამოვსახავ მოგვიანებით შემოთავაზებულ გამოსახულებაში იმ ნაკადის სახით, რომელიც იღებს გავლენასა და ჩარევებს, მაგრამ ერთ რომელიმე დროს შეიძლება ნიმუშად იქნეს გამოყენებული, რათა ასახოს ის თვისებები, რომლებიც მოცემულ მომენტში იჩენს თავს. ჩემი კვლევა გამოავლენს იმას, რასაც მე კულტურის მნიშვნელობას ვარქმევ და ადგილს არ ტოვებს იმ მნიშვენლობათათვის, რომლებიც ჩემი სწავლის სფეროს არ უკავშირდება. მოყვანილი მაქვს ორი ისტორიული ნაშრომი და მათი ავტორები, რომლებსაც ვაღიარებ და რომელთაც, როგორც წესი, მიმართავენ და ციტირებენ კულტურის კვლევისას. აღნიშნული კვლევა აღნიშნავს, რომ მე ვაღიარებ კულტურის მნიშვნელობას და გამორიცხავენ მასთან არ დამოკიდებულ დებულებებს. ორი ავტორი ასევე იზიარებდა კულტურის ასეთ ცნებას, მაგალითად ტულორისა და გრიიტზის სახით, რომელთა მოსაზრებებიც ასევე გათვალისწინებულია.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი მეორე სფერო გახლავთ სტრატეგია. სტრატეგია წარმოადგენს წინასწარ გათვალისწინებისა და დაგეგმვის უფრო ფართო ან ყოვლისმომცველ დონეს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს და გამოიყენება კიდეც მთელ რიგ სფეროებსა და საქმიანობებში და მხოლოდ სამხედრო სფეროთი არ შემოიფარგლება, თუმცა კი მისი ძირი, ბეატრის ჰიუზერის (Beatrice Heuser) მიხედვით, ბერძნული სიტყვიდან „strategia“ ან „strategike“, რომელიც შეიძლება ცბიერებას, თაღლითობას ან მოტყუებას გულისხმობდეს, მაგრამ ალბათ ასევე უდგება „გენერლობის

ხელოვნებასაც“ (ჰიუზერი (Heuser), გვ. 17 ციტატა: ბეილისი (Baylis), ვირტსი (Wirtz) და გრეი (Gray), 2017). საქმიან გარემოში „სტრატეგია“, როგორც წესი, დაგეგმვასთან და გათვლებთან არის დაკავშირებული, რომელთა შესახებ მოსაზრებებს ზოგიერთი მომავლის ბაზარიც ითვალისწინებს. ეს საერთო ბაზრისთვის გათვალისწინებული გათვლებია, იქნება ის ეროვნული თუ საერთაშორისო დონისა, მხოლოდ ერთ პატარა ქალაქში არსებული მაღაზიისა თუ საქმიანობის საწინააღმდეგოდ.იმ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, რომლებიც ბიზნესის სფეროს შესწავლით არიან დაკავებული, ეს გზა უფრო მეტად მთლიანობაში მეთოდს, გზასა თუ შეხედულებას განიხილავს.

სამხედრო კუთხით გამოყენება თუ ამ სფეროში არსებული მნიშვნელობა, რაღა თქმა უნდა, იმ ომის დონეზეა დამოკიდებული, რომელიც ეროვნულ თუ ცალკეული შტატის დონეზე ძალოვანი ელემენტების ჩართულობას გულისხმობს. საომარი ხელოვნების სხვადასხვა კოლეჯების სტუდენტები სწავლობენ ეროვნულ ძალებსა და სტრეტეგიულ მიდგომას ყველა აქტივისადმი, რომელსაც ისინი თვლიან დიპლომატიურ, საინფორმაციო, სამხედრო და ეკონომიკურ ელემენტად, მიიჩნევენ სტრატეგიულად მოქმედებისა და დაგეგმვის ინსტრუმენტებად - სწორედ აქედან წარმოსდგება აკრონიმი DIME („diplomatic, information, military, and economic elements“). უკანასკნელ ორმოც წელზე მეტი ხანია, სამხედრო განათლება უფრო მეტ ყურადღებას უთმობს იმ კავშირების გამოყოფას, რომლებიც აუცილებელია გაგების სტრატეგიულ დონეზე უზრუნველსაყოფად ერთის მხრივ სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს და მეორეს მხრივ ჯარისკაცებსა და მათ ხელმძღვანელებს შორის. ჩემს კვლევაში მითითებული მაქვს სტრატეგიასთან დაკავშირებული სამხედრო დოქტრინა, რომელიც მისთვის სასარგებლო აღმოჩნდა.

შრომას მრავალი კუთხით წაადგა და პირველ რიგში აღნიშვნის ღირსია თუკიდიდე. იმ ავტორებსა და ისტორიკოსებს შორის, რომელთა ნაშრომები ფართოდ გამოიყენება უმაღლესი დონის პროფესიულ სამხედრო განათლებაში, თუკიდიდეს შრომები პელოპონესის ომის შესახებ მნიშვნელოვანი გამოდგა ჩემი კვლევისთვის იმით, რომ მათში განხილულია ქვეყნის სიძლიერისა და სტრატეგიული გარემოს მეომრული

კულტურა; ამასთან, მისი შრომები საზღვაო ძალებსა და კულტურას შედარებით უფრო ნაკლებ ყურადღებას უთმობს. დისერტაცია ასევე აღიარებს კლაზევიცის და გრეის როლს ასეთ მიდგომების განხილვისას, რაც ასახულია ნაშრომშიც.

ამის შემდეგ ჩემი კვლევა განაგრძნობს ტერმინ „მეომრის“ გამოყენების შესწავლას. ამ ტერმინის გამოყენებამ ერთნაირად შეიძლება აღძრას ძლიერი შიშის გრძნობაც და ნოსტალგიური განცდაც იმისდა მიხედვით, თუ რა აუდიტორიაში გავაჟღერებთ მას. მოცემული ტერმინი, რომელიც ჩემი დისერტაციის ამოსავალ კომპონენტს წამოადგენს, სხვადასხვა მიზეზების გამო, თანამედროვე გარემოში ხშირად და საკმაოდ თავისუფალ ხმარებაში გამოიყენება. მე შევისწავლე იდეა თუ გაგება ფენომენისა, რასაც ეწოდება მეომრად დაბადებული ადამიანები და მათ საპირისპიროდ იმ ადამიანებისა, რომლებიც მეომრებად იქცნენ;

ლიტერატურაში ხაზგასმულად არის მითითებული, რომ ტერმინის „მეომარიი“ გამოყენება ბევრისთვის რთული და არაერთგვაროვანი ხასიათისაა. ვიეტნამის ომის ვეტერანი ართურ ვარანელი(Arthur Varanelli) გვთავაზობს მოსაზრებას, რომ ჯარისკაცების ცნობიერებაში „მეომრის გაგების ჩანერგვის წახალისებამ შეიძლება მხოლოდ კიდევ უფრო გააღრმავოს ჯარისკაცებსა და საზოგადოებას შორის არსებული უფსკრული“ (2010). ვარანელი შეშფოთებას გამოთქვამს „მებრძოლი კლასის“ ფორმირების გამო.

კვლევა წარმოაჩენს იმას, რომ ტერმინის ინტენსიური გამოყენება დოქტრინაში, ყოველდღიურ მოხმარებისას და რეკრუტირებისას დაიწყოს დაიწყო ცივი ომის მიწურულს და კიდევ უფრო გახდა პოპულარული აშშ-ს მიერ განხორციელებულ ოპერაციებში, რომლებიც მოხდა 9-11 მოვლენების შემდეგ. სწორედ ეს არის დისერტაციის და მისი სათაურის ერთ-ერთი ძლიერი მხარე.

დისერტაციაში მოხსენიებული მაქვს ორი შრომა, რომლებიც კრისტოფერ კოუკერს (Christopher Coker) და რუნ ჰენრიკსენს (Rune Henriksen) ეკუთვნის და რომელთათვისაც მე მათ მადლობას ვუცხადებ. პირველ შრომაში კოუკერის მთავარ ამოსავალ წერტილს

წარმოადგენს ის, რომ ომისადმი დასავლურ მიდგომაში შეტანილმა ცვლილებებმა, დიდწილად ტექნოლოგიური წინსვლებით, მაგრამ ასევე ომის აღქმის თვალსაზრისით, დააკნინეს არამარტო მეომრის კლასიკური გაგება - მათი, ვის მიერაც ხდება ომის გაჩაღება, არამედ შეამცირეს ასევე იმ სიმხეცის რეალიზებაც, რომელსაც ომი განასახიერებს. ამავე დროს, შენონ ფრენჩი (Shannon French) გვაწვდის დამატებით სამეცნიერო არგუმენტებს მეომრული სულის ადაპტირების პოზიტიური სარგებელისა, რასაც მხარს უჭერს დოქტრინა და პოპულარული კულტურა, და განიხილავს იმ დადებით დამახასიათებელ თვისებებს, რომლებიც შეიძლება ჩაენერგოთ ჩვენს სამხედროებს ან იქნებ სავალდებულოც იყოს ამ თვისებების მათთვის ჩანერგვა - იგი ამტკიცებს, რომ ეს თვისებები და ქცევები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ტერორის წინააღმდეგ ომში“.

უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე შექმნილი პროფესიულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით იმ შრომებში, რომლებიც არმიას დაუფრო ხშირად საბრძოლო ძალების კატეგორიებს ეხება, ხშირად ვაწყდებით ისეთ ადგილებს, სადაც ჯარისკაცი „მეომრად“ არის მოხსენიებული. პირველ თავში ამაზე განსაკუთრებით არის გამახვილებული ყურადღება.

ლიტერატურული მიმოხილვის სხვა მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენდა მებრძოლი კულტურისა და სუბ-კულტურების განხილვა. როგორც შესწორებული დისერტაციის სახელწოდებისაგან და შინაარსიდან გამომდინარეობს, შესაბამისობაში უნდა იყოს იმის განხილვა თუ როგორ უნდა დავუკავშიროთ ერთმანეთს საერთო სახის კონპონენტები და რამდენად ისინი ეხმიანებიან კვლევის შინაარს. კვლევა მიმოიხილა ლიტერატურა, რომელიც ეხებოდა სპარტელებს, იაპონელ სამურაებს და შოტლანდიელებს. ამ ჯგუფების კულტურა და სუბ-კულტურები, ზოგადად, გამოხატავდნენ ტრადიციებს, პრაქტიკას და ღირებულებებს რომლებიც ეხმარება მათ იყვნენ განცალკევებულნი ერთმანეთისაგან, რადგანაც სპარტანელები განსხვავდებიდნენ ათენელებისაგან. აი ეს უნიკალური მომენტები იყო განმსაზღვრელი ფაქტორები მათი ბრძოლისუნარიანობის სულისკვეთების წარმატებაში და ამით ეს დაგვეხმარა მათ ვუწოდოთ „მებრძოლები“ იმ კულტურული მოდელის ფარგლებში, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ.

სტრატეგიული კულტურა, რომელიც ჩემი კვლევის მიმართულების ძირეულ იდეას წარმოადგენს, ასევე მოხსენიებული მაქვს დისერტაციის დასაწყისში.მიუხედავად იმისა, რომ მინიშნებები, სტრატეგიული კულტურების ელემენტები და მსგავსებები ჯერ კიდევ თუკიდიდეს დროს მოიპოვებოდა, როგორც ამას კლოზევიცი (Clausewitz) გვამცნობს და ასევე როგორც არაპირდაპირი სახით არის მოხსენიებული ბ.ჰ. ლიდელ ჰარტის (B.H. Liddel Hart) ნაშრომში, თანამედროვე ლიტერატურაში ტერმინი პირველად მოხსენიებულია 1970-იან წლებში გამოქვეყნებულ სტრატეგიულ სწავლებათა ლექსიკონში. ნაშრომი ასევე გამოყოფს სხვა რამოდენიმე მკვლევარს, რომლებიც მუშაობდნენ სტრატეგიული კულტურის მიმართულებით და იყენებს მათ ციტირებებსაც.

კვლევაში ასევე გათვალისწინებულია ლიტერატურა ოფიციალური დოკუმენტების განხილვის კუთხით, რომლებიც შესაძლოა სასარგებლო გამოდგეს მინიშნებებისა და ამერიკულ სტრატეგიულ კულტურასთან დაკავშირებული ენის მიგნება თუ გამოვლენა, განსაკუთრებით კი მეომართა სტრატეგიული კულტურის ცვლილებასთან დაკავშირებული მინიშნებებისა და ენისა. ამ ძალისხმევის წინაშე არსებული ერთერთ გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ ერისათვის სტრატეგიული დონის დოკუმენტაცია და მიმართულების განცხადება ბუნებით, ზოგადად და ფართო მასშტაბებით „ვანილიანი“ ანუ სურნელის არმქონე დოკუმენტებია, რომლებიც უსაფრთხოდ შეიძლება იქნეს მოხმარებული მოცემული ეროვნების მოქალაქეებისა თუ საერთაშორისო დონეზე.

თავი მეორე - შეცვლილი ან მიღებული სტრატეგიული კულტურა და ამერიკის „ცივი ომის“ სტრატეგიული კულტურა

მეორე თავში კვლევა ინაცვლებს და განიხილავს სტრატეგიულ კულტურას, როგორც მოქმედ კონცეფციას შეერთებული შტატების შემთხვევაში, აგრეთვე სტრატეგიული კულტურის კვლევას ცივი ომის ადრეულიდან მოყოლებული ბოლო წლებამდე.

კვლევაში თავდაპირველად განხილულია სტრატეგიული კულტურის კონცეფციისა თუ თეორიის როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები, შემდეგ კი -

დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც ავლენს მის თვისებებს ცივი ომის ადრეულიდან დაწყებული ბოლო ეტაპებამდე. კვლევამ დაამტკიცა, რომ ამერიკას სტრატეგიული კულტურა არ გააჩნია და ცივი ომის პერიოდში სტრატეგიული კულტურის შეჯამება სულ ორი თუ სამი მახასიათებლით შეიძლება: მიზნის სამართლიანობაზე დამყარებული ჯვაროსნული ფანატიზმი და ამერიკული განსაკუთრებულობა და ერთადერთობა და ის არამარტივი თვისება, რომელსაც მე მოვიხსენიებ, როგორც „სწრაფს, ზომიერსა და სიცოცხლისუნარიანს"; დაბოლოს, ჯარისკაცებისა და სამხედრო სამსახურში თავდაცვის მიზნით მსახურისათვის დამახასიათებელი თვისებები. კითხვები, რომლებზეც მე ვცდილობდი პასუხი მეპოვნა, ჩემი ჰიპოთეზის დასადასტურებლად თუ უარსაყოფად, იყო: პირველი: რა დამახასიათებელი თვისებები გააჩნდა ამერიკის სტრატეგიული კულტურას ცივი ომის პერიოდში და მეორე: არსებობს თუ არა საკმარისი მტკიცებულება ამ თვისებების დასადასტურებლად.

დისერტაციაში გაბათილებულია ერთერთი ამერიკელი მეცნიერის მოთხოვნა, რომელიც სტრატეგიული კულტურისათვის ნაკლები ყურადღების დათმობას გულისხმობს. ანტულიო ეჩევარიას (Antulio Echevarria) განცხადებით, „თუ სტრატეგიული კულტურა ემსგავსება წებოს, რომელიც შაბლონებს ერთად აკავებს, მაშინ ამერიკის სტრატეგიული კულტურის ინტერპრეტაციებს არ გააჩნია საკმარისი ძალა იმისათვის, რომ მათ მიემხრო (ეჩევარია (Echevaria), 2014).

მოცემულ თავში კვლევა ასევე ეხება სტრატეგიული კულტურის შესწავლის ერთერთ უფრო ფართოდ გავრცელებულ სირთულეს, რომელსაც სემანტიკა წარმოადგენს. ხშირად „ომის გზები", რასელ ვეიგლის (Russel Weigley) მნიშვნელოვანი წიგნის სათაურის ღირსშესანიშნავი მონაკვეთი, კავშირის მიუხედავად, არ არის იგივე, რაც სტრატეგიული კულტურა.

დისერტაციის წინამდებარე თავში განიხილება ამერიკის სტრატეგიული კულტურის ადრე არსებული თვისებების გამოვლენა. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი

სტრატეგიული კულტურის მტკიცებულებას არ წარმოადგენს, იგი მაინც გვეხმარება იმის კვლევაში, რაც ერთ დროს სტრატეგიული კულტურის მახასიათებელ თვისებებს წარმოადგენდა, თუმცა შემდეგ გაქრა ან იმდენად შემცირებული რწმენისა თუ გამოხატულების საგნად იქცა, რომ მნიშვნელობა და ძალა დაკარგა.

ამერიკის სტრატეგიულ კულტურაშიდიდ მნიშვნელობას იღებს და ცივი ომის გაჩაღებასთან ერთად ძალიან ძლიერდება რწმენა თუ ლტოლვა კამპანიის წარმოებისადმი - რომ ამერიკულმა განსაკუთრებულობამ შეერთებული შტატები ვალდებულებათა უფრო მაღალ დონეზე აიყვანა და ამერიკის სტრატეგიული კულტურის ძლიერი მახასიათებელი თვისება წამყვანი მმართველი ძალა ხდება. ამერიკული სტრატეგიული კულტურის მეორე მახასიათებელი, რომელიც კვლევის მესამე ნაწილში გვხვდება და კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება, გახლავთ ის, რასაც მე „სწრაფს, ზომიერსა და სიცოცხლისუნარიანს“ ვუწოდებ. შეიძლება ეს ასევე მოვიხსენიოთ, როგორც სისწრაფის, ძალის დაზოგვისა და მსხვერპლის დაბალი ან ნულოვანი მაჩვენებლისადმი ამერიკული მოლოდინი.

კვლევის ამ სფეროში წარმოდგენილია სტრატეგიული კულტურის შესწავლისა თუ განსაზღვრისას ემერიკული უნიკალურობის კონცეფცია. შეერთებულ შტატებში მასშტაბებმა, მრავალფეროვნებამ და სწრაფად ცვლადმა დემოგრაფიამ ცვლილებებისა და გადანაცვლებათა პროცესზე შესაძლოა უფრო მეტადაც იმოქმედა, ვიდრე ნებისმიერ სხვა ერში.

დისერტაციის ეს თავი გვთავაზობს ნიმუშად მოტანილი გაზეთების სარედაქციო წერილებისა და მოსაზრებათა გვერდების, ასევე პოპულარული ახალი ამბების გამავრცელებელი ჟურნალების ანალიზსს ცივი ომის ორ გარდამტეხ პერიოდში: კუბური სარაკეტო კრიზისის შემდგომ და ვიეტნამის ომის შემდგომ ამერიკის აქტიური ჩართულობის პერიოდებში.

კვლევაში ასევე განხილულია გარეგანი თვისებები, რომლებიც მხარს უჭერდა ან ამყარებდა ამერიკის პოზიციას ვიეტნამსა თუ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (ისევე როგორც სხვაგან ყველგან), რაც წინ უსწრებდა მრჩეველობის პერიოდს და თითქმის 1965

წელს ამერიკული საბრძოლო ჩარევის განვითარებამდე გაგრძელდა. ამ ფაქტორებიდან პირველი იყო ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა.

საბჭოთა კავშირისა და მისი ლიდერობა მსოფლიოში, აგრეთვე მისი საქმიანი ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან გამოხატავდა ზედმეტად შავ-თეთრ სურათს საიმისოდ, რომ ამერიკელები მოხიბლულიყვნენ და იმავეს გადმოღების სურვილი გასჩენოდათ. ამერიკელებს ჰქონდათ საკუთარი მიზანი და კომუნისტური საფრთხის შეკავებას მოიცავდა და ტელევიზია იყო ის მნიშვნელოვანი იარაღი, რომელიც ამის განხორციელებას იძლეოდა.

კვლევაში ასევე წარმოდგენილია კონკრეტულ შემთხვევებზე დაფუძნებული კვლევა ვიეტნამისა და დროის იმ მონაკვეთის შესახებ, რომლის განმავლობაშიც შეერთებულ შტატებში ბევრი რამ შეიცვალა, ხოლო სამხედრო სამსახურის შესახებ არსებული რწმენა და წარმოდგენები სამუდამოდ გადასხვაფერდა.

მესამე თავი - ამერიკული სტრატეგიული კულტურის გარემო, ტრანსფორმაცია და იმპლიკაციები „ცივი ომის“ ბოლო პერიოდიდან პოსტ-„ცივი ომის“ პერიოდამდე

დისერტაციის მესამე თავი მიმოიხილავს ბოლოდროინდელ და ცივი ომის შემდგომ პერიოდს. ვიეტნამის ომისა და მისი შემდგომი საზოგადოებრივი მღელვარების პერიოდი შეერთებულ შტატებში ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა საზოგადოების მიერ კონფლიქტისა და სამხედრო წრეების - სტრატეგიული კულტურის აღქმაში „კორექტივების“ შეტანისათვის. მთლიანად მოხალისეთაგან შედგენილი ძალების შემოღებამ და პოლიტიკით გამოწვეულმა იმედგაცრუებამ კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა. რეიგანის მმართველობის პერიოდში პატრიოტული და კონსერვატიული გრძნობების განახლება-აღორძინება დაიწყო და ერთ დროს აგრესიულმა და უკმაყოფილო თაობამ, რომელიც იბრძოდა და თან პროტესტს გამოთქვამდა ვიეტნამში მიმდინარე ომის წინააღმდეგ, უფრო ადვილად საპროგნოზებელი და ძლიერი ამერიკის ხატებასთან დაბრუნება სიამოვნებით მიიღო. რეიგანის ერა იყო ქვეყანაში პატრიოტიზმის რენესანსის დაწყების პერიოდი და კონსერვატიული გრძნობების

აღზევება და ერთხელ უკვე გაწბილებული და უკმაყოფილო თაობა, რომელიც აპროტესტებდა ვიეტნამის ომს, მიესალმა ასეთ დაბრუნებას და იმ ფენომენს, რომელსაც ეწოდა ძლიერი ამერიკა. გაწვევის რეკლამირება აღქმული არის როგორც სტრატეგიული კულტურის ინდიკატორი.

რეიგანის პერიოდში დასაბამი დაედო იმას, რასაც სამხედრო კასტის აღმოცენება შეიძლება ვუწოდოთ. ამერიკელები ძალზე უპრობლემოდ შეეგუვნენ იმას, რომ როცა ჭიშკარი თუ შესასვლელი ძალზე ფართოა, იგი ატარებს თითქმის ყველას, ვისაც იქ შესვლით სარგებელის ნახვა სურს. ამერიკელმა ხალხმა დაგვანახა, რომ თუკი საფრთხე რაიმე საზღვრებშია მოქცეული ან რეალურად არ არსებობს, ხოლო მის დასაპირისპირებლად საჭირო სამხედრო ძალა ზოგიერთი ექსპერტის აზრით მისაღებ ან თითქმის მისაღებ დონეზეა წამოდგენილი, ხალხს შეუძლია კმაყოფილი იყოს იმით, რომ საკუთარი სისხლის გაღების გარეშე და მხოლოდ ფულადი ინვესტირების მეშვეობით შეაქვთ საკუთარი წვლილი საქმეში.

დისერტაციის ამ თავში შესულია ასევე კონკრეტულ შემთხვევაზე დაფუძნებული კვლევა გრენადაში ჩატარებული ოპერაციის შესახებ, რომელიც „შეუპოვარი მძვინვარების“ („Urgent Fury“) სახელითაა ცნობილი. მაგრამ ჩემი კვლევისთვის მნიშვნელოვანი გრენადა და ოპერაცია „შეუპოვარი მძვინვარება“ იყო პირველი მისიით, რომელიც ამერიკის სტრატეგიული კულტურის გადანაცვლების დროს ან მის ფარგლებში განხორციელდა.

კვლევაში მოცემულია სპარსეთის ყურის პირველი ომის გავლენის შესწავლა, როგორც იმ გადანაცვლებების დადასტურებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სამხედრო ძალებსა და სტრატეგიულ კულტურაში. ამერიკელთა უმრავლესობის თვალში მთლიანად მოხალისეთაგან შექმნილი ძალები კომპეტენტური და მომზადებული იყო და კარგადაც მოქმედებდა. შედარებით უფრო მცირე და, შესაბამისად, უფრო იაფ გზას წარმოადგენდა საყოველთაო მოძრაობა, რომელიც მშვენივრად ეხამებოდა ახალი მსოფლიო წესრიგის სახეს. ამერიკელებს შეეძლოთ ხელახლა შესდგომოდნენ იმ გზასა და

საქმიანობას, რაც მათ ყველაზე მეტად უყვარდათ - უფრო ძლიერი ეკონომიკა და უფრო კომფორტული ცხოვრება.

ამერიკული მებრძოლი სული ცივი ომის პერიოდისაგან შესუსტდა და უფრო ფრთხილ და დაცულ მონდომებას დაემსგავსა, რომელიც მშვენივრად ერწყმოდა იმ სიცოცხლით სავსე მდგომარეობასა და გრძნობას, რომელსაც იგი ვიეტნამის დემონის განდევნის შემდეგ განიცდიდა.

კვლევა აღიარებს პრეზიდენტ ქლინთონის მყარ მიდგომას ამერიკის სამხედრო ძლიერებისადმი როგორც ფორმას, რომელიც ამყარებს სტრატეგიული კულტურას. კლინტონის მიერ სამხედრო წრეებისათვის ათვლილი აზიმუტი თუ მათზე კონცენტრირებული ფოკუსი შეერთებულ შტატებს ააცილებდა მრავალ პოტენციურ საფრთხეს, მაგრამ მისი ყველაზე დიდი ძალისხმევაც კი არ იყო საკმარისი ისლამისტი ექსტრემისტების მიზანდასახულად მოქმედი ქსელის საბოლოოდ გასანადგურებლად.

მე-20 საუკუნის ბოლო წლებში კვლავ გახშირდა ისლამური ექსტრემისტების მიერ შეერთებული შტატების წინააღმდეგ წარმოებული ტერორისტული მოქმედებები. 1993 წელს მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე მიტანილი იერიში წინ უსწრებდა მთელ რიგ საშინელ მოვლენებს, თუმცა სხვა ტერორისტულმა თავდასხმებმა, მათ შორის 1995 წელს ოკლაჰომა სითიში მომხდარმა თავდასხმამგანაპირობა ამერიკელებში სამართალაღსრულების ძალების მიჩნევა ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართულ მთავარ კონტრაგენტად. როგორც კვლევა აღნიშნავს, ჯორჯ ბუში იყო გარდამავალ პერიოდში უფრო მსუბუქი და უფრო ტექნიკურად აღჭურვილი სამხედროების ფონზე, როდესაც 2001 წლის სექტემბერში განხორციელებულმა ტერორისტულმა შეტევებმა შეცვალა ძირეულად ყველაფერი. 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებულმა თავდასხმამ ამერიკის სტრატეგიული კულტურის - მეომრული სტრატეგიული კულტურის არსებული დამახასიათებელი თვისებები კიდევ უფრო გააძლიერა. მიუხედავად პირად შემადგენლობებს შორის გაჩენილი ზოგიერთი წუხილისა და შეშფოთებისა, რამაც ერთდროულად იჩინა თავი ამერიკის ჩართულობის პიკურ ეტაპზე როგორც ავღანეთში, ასევე ერაყში, ბევრი დარწმუნებული იყო მთლიანად მოხალისეთაგან შემდგარი სამხედრო ძალების მოქნილობასა და სიცოცხლისუნარიანობაში.

დასკვნა

ამის შემდეგ კვლევა არკვევს დაკვირვებისა და გამოკითხვის მეთოდებს სამი აუდიტორიის მაგალითზე. სტრუქტურირებული გასაუბრების კითხვები მომზადებულ იქნა და დაესვა ცხრა საშუალო და უფროსი რანგის ოფიცრებს, რომელთა პასუხების ანალიზის შედეგების მიხედვით გამოვლინდა ის, რაც ჩემი დისერტაციის ძირითად ცნებებს ამყარებს. ორმა მოცემული სამი აუდიტორიიდან გამოკითხვა ონლაინ რეჟიმში გაიარა. ერთი ჯგუფი შედგებოდა სამხედრო ძალების წევრებისაგან, რომლებიც სოციალური მედიასაშუალებების გაფილტრული წევრობის გზით იქნენ აყვანილი, ხოლო მეორე ჯგუფს შეადგენდნენ სამოქალაქო კატეგორიის ადამიანებისაგან, რომლებიც კონკრეტულ ასაკობრივ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ. გამოკითხვებში სამოქალაქოებისაგან შემდგარი ჯგუფის რესპონდენტებმა მეომრული სტრატეგიული კულტურის თაობაზე ჩემი მტკიცებულებებიდან ერთის გარდა ყველა დაადასტურეს. მათ დაამტკიცეს ის, რასაც გამოკითხვაში მოხსენიებული მასალიდან სულ მცირე ერთი სხვა გამოკითხვაც გვთავაზობს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სამოქალაქო პირები არც ისე უჩვეულოდ უგულოები არიან ომისა თუ ბრძოლის მსხვერპლთა მიმართ, როგორც ეს ადრე ეგონათ. სამხედრო პირთაგან მიღებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით კი აღმოჩნდა, რომ ისინი (სამხედრო პირები) მიიჩნევენ, რომ სამოქალაქო პირები მეტისმეტად გულგრილნი არიან ომისა თუ ბრძოლის მსხვერპლთა მიმართ.

კვლევა ამხელს იმ თეზისს, რომ რა ცვლილებებიც მოხდა დაკავშირებულია კატასტროფასთან. ეს არის აშშ-ს მაგალითი. კვლევის შედეგები მიბმულია ჯონსტონის მიერ 1995 წელს და გრეის 1999 წელს გამოთქმულ მოსაზრებებზე მაგრამ ეს არის უნიკალური მიდგომა რომელსაც არავინ არ იზიარებს ან განიხილავს იმ დროის მონაკვეთში რომელიც შეეხება აშშ-ს. აქვეა ახსნა, სადაც გამოხატულია რამოდენიმე ილუსტრაცია ჩემი კვლევის შედეგებისა და ასევე კვლევის კითხვების არსი.



როგორც მე მიწევს მანევრირება სტრატეგიული კულტურის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებების თაობზე, ასევე მიწევს გავაანალიზო რა სახის სამხედრო და საგარეო პოლიტიკის ისტორიული ფაქტორები ახდენს გავლენას მნიშვნელოვანი ამერიკის სტრატეგიულ კულტურას. ამ დისკურსის ფარგლებში მე გამომრჩა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. მე შევქმენი ცხრილი (იხილეთ ცხრილი 2 ქვემოთ), სადაც დაფიქსირებულია ჩემი კვლევის შედეგები და გამოკვეთილია თუ რას ნიშნავს ამერიკული კულტურის ასპექტები და რამოდენიმე კრიტერიუმი მისი აღქმისთვის. სამი მთავარი ასპექტი არის გამოკვეთილი: **იზოლაციონალიზმი, სამხედრო სამსახურის საზოგადოება** და **მცირე ზომის მუდმივი არმია**. სამი სხვა ასპექტი მოგვიანებით წარმოიშვა და მასზე ასევე საუბარია კვლევაში. ესენია: ჯვაროსნები, კომბინაცია სწრაფი, ნაკლებუ დანახარჯების და მზრუნველი სამხედრო სოციუმუ და ბოლოს, მებრძოლთა კასტა საყოველთაო მოხალისეთა ძალებში (AVF).

Figure 2

Vanished, and Existing Features of American Strategic Culture

FEATURE	REASON	EVIDENCE	CHANGE AGENTS/VARIABLES
Isolationism	Geography Exceptionalism Political legacy	Statements Policy	Technology Cold War Generational
Military Service Duty Commonality	WWII Cold War	Statements Organizations	Vietnam Gates Commission Generational
Crusaders	WWII Cold War GWOT	Statements Platforms Conflicts	
Small Standing Army	Historical Requirements Isolationism	Mobilization	WWII Cold War
Fast, Frugal, Low Casualties	Vietnam	Statements Govt Doc Adjustment Decisions	
AVF Low % of Population – Warrior Caste	End of Draft Vietnam	Statements Doctrine	

აქვე დავსძენ, რომ დიდი გავლენა ნაშრომზე მოახდინა, განსაკუთრებით მის პირველ ნაწილზე, კარლ ფონ კლაუზევიცმა. კლაუზევიცი რჩება მნიშვნელოვან ფიგურად ჩემი კვლევის ფორმატში და ასევე დისერტაციის სათაურის ნაწილში - სტრატეგიაში.

კლაუზევიცის „სამეულის“ კავშირი სტრატეგიულ კულტურასთან შეიძლება ზოგად კონტექსტში როგორც განწყობებისა და ხალხის კავშირი კულტურასთან. კლაუზევიცი საკუთარი სიტყვებით ასაბუთებს ამას, ჰოვარდის და პარეტის თარგმანის მეშვეობით:

„ომი არის როგორც ქამელეონი, რომელიც კარგად ადაპტირდება კონკრეტულ შემთხვევის მაგალითზე. როგორც ტოტალური ფენომენი, მისი ძირითადი ტენდენციები ვლინდება ომის წარმოების პარადოქსალურ „სამეულში“ - შექმნილი ძირეული ძალადობა, მტრობა და ზიზღი, რომლებიც უნდა განიხილებოდეს როგორც ბუნებრივი ძალა. თამაშის შანსის და ალბათობის გამოყენება, რომელიც ქმნის თავისუფალი სულისკვეთების საშუალებას და ასევე სუბორდინაციის ელემენტი, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი ქმნიან ასეთი განწყობის მიზანშეწონილობას. ამ სამი ასპექტიდან პირველი ეხება ხალხს, მეორე მეთაურს და მის არმიას და მესამე მთავრობას. სულისკვეთება რომელიც განიხილავს ომის ფაქტორს უნდა იყოს

ბუნერბივად განვითარებული ხალხში. თამაშის (იგულისხმება ომი) დროს გამოვლენილი ღირსება და ტალანტი და რეალობის შეგრძნება და შანსის გამოყენება დამოკიდებულია მეთაურის პირად თვისებებზე. მაგრამ პოლიტიკური მიზნები უნდა იყოს მთავრობის პრეროგატივა მხოლოდ“.

„სამეულის“ ვიზუალური გამოხატვა პირამიდის ან სამკუთხა მოდელის სახით არის საკმაოდ ხშირი მოვლენა და ეს ნაჩვენებია ცხრილ#3-ში.



Figure 3 – Clausewitz paradoxical trinity

„სამეული“ სასარგებლო რათა ავხსნათ სტრატეგიული კულტურის როლი და ადგილი ისეთ საინტერესო ფორმატში, სადაც ორი მკვლევარი მსჯელობს: აქტორი ძალების წინააღმდეგ (Bassford & Villacres, 1995). როგორც ჩვენ ადრე დავაფიქსირეთ დასკვნაში, სტრატეგიული კულტურა არის მიმავალი ნაკადი, სადაც ხალხს, მოვლენებს, ისტორიას, გეოგრაფიას შეაქვთ თავიანთი წვლილი მასში. ის ასევე გადასცემს ან

გადაიცემა მოქალაქეთა/ხალხის ქმედების, პროტესტის, წერილობითი მოთხოვნის და აშშ-ს წარმომადგენლობითი მთავრობის მაგალითზე, ხმის მიცემის მაგალითზე. სტრატეგიული კულტურა ადგენს გარკვეული სახის საფეხურს მაგრამ ის ასევე შეიძლება გამოისახოს როგორც „შეფერდის მარყუჟი“ (იხილეთ ცხრილი#4).

ყველაზე ხშირად ციტირებადი ფრაზა კლაუზევიცის არის რომ ომი არის გაგრძელება პოლიტიკის სხვა საშუალებებით. ის ძალიან კარგად გამოხატავს იმ ფაქტს, რომ მთავრობები არიან მთავარი ან ძირითადი ძალა, ხოლო დანარჩენი ორი კი მასთან არიან მიბმულნი. მაგრამ ეს არის შეზღუდული ხედვა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოქალაქეთა აქტივობას წარმომადგენლობითი მთავრობის პირობებში, როგორიცაა აშშ-ს ფედერალური რესპუბლიკური მმართვის სტილი. ეს არ იყო გათვალისიწნებული კლაუზევიცის მოღვაწეობის პერიოდში. სტრატეგიული კულტურა მოქმედებს ძალაუფლებისაგან განცალკევებულად და გავლენას ახდენს სულისკვეთებას, რომელიც გამოიხატება ხალხის მიერ, რომლებიც თავის მხრივ გამოხატავენ თავიანთი ვაჟებისა და ქალიშვილების მეშვეობით, რომლებიც არიან მეომრები.

აშშ-ში როგორც წარმომადგენლობით მთავრობის სამაგალითო მოდელში, სტრატეგიული კულტურა უზრუნველყოფს საწყისს პარამეტრებსა ან მოდულებს მთავრობის ჩამოყალიბებისთვია ან პოლიტიკის დაწესებისთვის, რომელიც ასევე თავის გავლენას ასახავს იმაზე, თუ როგორ აყალიბენე სამხედროები და მთავრობის წევრები სამხედრო მოქმედებებს (კლაუზევიცის პირდაპირი ძალა). სტრატეგიული კულტურის სიღრმისეული არსიდან გამომდინარე, სტრატეგიული კულტურა ასევე ითვალისწინებს კონფლიქტში მონაწილე გადაწყვეტილების მიმღებთა განწყობას - პატრიოტულ მხარდაჭეერა ან „შეფერდის მარყუჟს“.



Figure 4 – Clausewitz trinity and strategic culture

როგორც მუდმივი მოვლენა, სტრატეგიული კულტურის არსებობა ან დაფიქსირება მომდინარეობს ხალხისაგან და მათი გადმობირების გავლენისაგან; სამხედრო დოქტრინული ტერმინებში ჩაღრმავებისას და პოლიტიკოსების გავლენების ფონზე, კარგად ჩანს ვინ არის კლაუზევიცის „სამეულის“ პოლიტიკის აქტორები. სამხედროებს და მთავრობას, თავისი არსიდან გამომდინარე, გააჩნიათ დიდი გავლენა სტრატეგიულ კულტურაზე.

აშშ-ს სამხედრო მისიები სტაბილურობისა და ასევე იმ ოპერაციების, რომლებიც განსხვავდება კლასიკური ომისაგან (თუნდაც მისიის საწყისს ეტაპზე) მოდიან ჰარმონიაში ამერიკული სტრატეგიული კულტურის ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა სწრაფი რეაგირება, მოზომილობა და ნაკლები დანახარჯები. უპოვართა დაპურება, საზღვრების დაცულობა ან სტაბილური აწმყოს პირობები შესრულებულია ქმნის ამერიკული მისიების წარმატებით აღსრულების წინაპირობებს. ამერიკული საზოგადოებრივი აზრი მყარად აჩვენებს მისიებისადმი დადებით დამოკიდებულების მაჩვენებელს. თუმცაღა სხვა ფაქტორებს გააჩნიათ სხვა გავლენა.

მტრებს კონფლიქტში ან ოპონენტებს ბრძოლაში გააჩნიათ თავიანთი ხმა. ასეტი მოდეკი მუშაობს მიმდინარე მისიებში. ჩვენმა ოპონენტებმა იციან რა არის ამერიკული სამხედრო კულტურა ანდ შემუშავებული აქვთ როგორ უნდა მოსპონ ამერიკელთა ნდობა, რომელიც გვეხმარება ჩვენი ნების თავმოსახვევად და ჩვენი მიზნების მიღწევისთვის. ჭეშმარიტი ან მოსალოდნელი დანაკარგები, დრო და დანახარჯი ოპერაციების დროს რომლებიც ვერ ასრულებენ მისიას დაიცვან სამშობლო და ჩნდება წყარო ასიმეტრიული ჯგუფებისთვის, აგრესორებისთვის და კრიმინალური ლიდერებისთვის, რათა დასძლიონ ამერიკული შეჭრა და მიაღწიონ მათთვის სასურველ შედეგებს. მაგრამ ეს არის გარე ფაქტორი რომელიც დაეფუძნა შინაგან გამოწვევაზე.

კვლავ არსებობს „ვიეტნამის აჩრდილი“, რომელიც ბევრს სჯერა რომ გაქრა 1991 წლის ზამთარში, თუმცაღა სწორედ ეს „აჩრდილი“ გავლენას კვლავ ახდენდა პრეზიდენტ ბილ ქლინთონის და მის კაბინეტზე. ქლინთონი თვითონ იყო ამ ომის წინააღმდეგი და ოპონენტი და ყოველთვის ცდილობდა აერიდებინა თავი სამხედრო სამსახურისთვის სარეზერვო ოფიცერთა მომზადების კორპუსში ჩარიცხვის (ROTC) მეშვეობით, მაგრამ შემდგომში მან ესეც გადაიფიქრა. როგორც კი ომმა დაიწყო პროგრესირება და გაწვევის პროცესი ასევ ჭიანირდებოდა, მისი ბედიც როგორც კარგი ლოტერეის ასევე წავიდა იქით, რომ მას არ მოუწევდა სამსახური ჯარში (PBS - ბილ ქლინთონის წერილის პროექტი). მიუხედავად იმისა, რომ ქლინთონს გაუმართლა და აირიდა ომში წასვლა, მან წლების განმავლობაში გაიცნობიერა გასული საუკუნის 60-იან წლების სირთულეები, და დაასკვნა რომ მისი პოლიტიკური წარმატებას მოყვებოდა ძალების შეზღუდული გამოყენება (New York Times – Bill Clinton’s Vietnam Test, 1992; Abbot, 2006). ქლინთონის მცდელობა რომ გარკვეულიყო ამ მისიების წინაშე არსებულ სირთულეებში იყო სხვა პერსონალური ხედვა, რომელიც გავლენას იძენდა ვიეტნამის ომიდან.

გენერალ კოლინ პაეული ასევე ჩაერთო ამერიკული სტრატეგიული კულტურის მართვაში გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც მას გააჩნდა გასხვავებული ჩართულობის დონე ვიეტნამის ომში. პაუელი მონაწილეობდა ამ ომში და კარგად იყო გაცნობიერებული რა დიჰოტომია არსებობდა რეალურ ომსა და სამშობლოში მის არსზე.

ისევე როგორც სხვა კარიერული ოფიცრები, რომლებიც გახდნენ გენერლები გასული საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში, პაუელი თვლიდა აუცილებლად გაუმჯობესებულიყო სამხედრო სამსახური და გაეკეთებინა ყველაფერი რათა აღმოფხვირილიყო ის ინსტიტუციონალური და საზოგადოებრივი ზიანი, რაც ვიეტნამის ომმა მოუტანა ამერიკას და მის სამხედროებს (Kitfield, 1995).

პრეზიდენტი ქლინთონის და გენერალ პაუელის ფეხის ათრევა ან დაეცვათ სიზუსტე სამხედრო საკითხებისადმი გასული საუკუნის 90-იან წლებში იყო დაკავშირებული ამერიკის სტრატეგიულ კულტურასთან. ეს ტენდენცია გამოარჩევდა ქლინთონის მიდგომას მოეხდინა უფრო მეტად ფოკუსირება ეკონომიკის საკითხებზე და კარგად ასახავდა ძველი თაობის პოლიტიკოსების მიდგომებს, ალბრაიტის სახით, რომლებიც აგრძელებდნენ იმ აზიმუტით სვლას რომ ნაკლები პოლიტიკური და ნაკლები სამოქალაო ინვესტიციები წარმართულიყო სამხედროების მისამართით.

კლაუზევიცის კონცეფციებიდან ყველაზე ხშირად განხილვადი საკითხია გრავიტაციის ცენტრის რაობა - *Schwerpunkt*. მოცემული კონცეფციას გააჩნია აკრონიმი COG. დისერტაცია იყენებს ამ აკრონიმის ანალიზს და ცდილობს მოარგოს ის მეომრის სტრატეგიულ კულტურას. როგორც რამოდენიმე ძირითადი კონცეფცია და პასაჟი, რომელიც ეკუთვნის კლაუზევიცს, გრავიტაციის ცენტრი გახდა დასავლეთის სამყაროს მაღალი დონის თავდაცვითი კოლეჯების მიერ დავიწყებული ცნება და ამიტომაც მე ჩავთვალე რომ მნიშვნელოვანია მისი სათანადოდ განხილვა დისერტაციის ბოლო ნაწილში.

თუ ჩვენ განვიხილავთ პენტაგონი მიმდინარე დეფინციას გრავიტაციის ცენტრის თაობაზე როგორც მთავარ გზამკვლევს, მაშინ სტრატეგიული კულტურის, ასევე ამერიკის სტრატეგიული კულტურის არსი, ჩემი გადმოსახედიდან იქნება განსხვავებული და ამის საპირისპიროდ იქნება კრიტიკული და წარმოაჩენს ბევრ ნაკლოვანებებს სტრატეგიულ დონეზე. აღნიშნული კვლევა გვაძლევს საშუალებას რომ ერთი კომპონენტი (სწრაფი რეაგირება, ზომიერება და ნაკლები დანაკარგი) იყო და იქნება კონკრეტული დარტყმის

ობიექტი არა მხოლოდ დასავლეთის, არამედ აშშ-ს მტრების მხრიდან. აღნიშნული ფენომენი წარმოჩინდა კორეაში და შემდეგ განვითარდა ვიეტნამში. სწრაფი მოზომილობდა დაბალი დანაკარგი არიან მთავარი დარტყმის სამიზნეები ასიმეტრიული საფრთხეების მატარებელი აქტორებისგან - მეამბოხეების, რევოლუციონერების და ტერორისტებისაგან. თავისი ბუნებიდან გამომდინარე აღნიშნული სახის საფრთხეებს შეუძლია გამოფიტონ აშშ-ს კონვეციური დომინანტობა ან რომელიც დიდი სახელმწიფოსი რადგანაც მათ შეუძლიათ გახდნენ მეომრები გარკვეული დროით და ჩაითრიონ ამ ორომტრიალში ის მოსახლეობა, რომელიც არ არის უშუალოდ ჩართული ომში მაგრამ მონაწილეობს გაჭიანურებულ ომში (მაო, 1937). ეს არის ის რაც გვაძლევს საშუალებას ვთქვათ მთავარი სტრატეგიული დონიდან გამომდინარე, სიკვდილი ათასი ჩხვლეტის შედეგად (სავარაუდოდ უკავშირდება – ლინგჩის ჩინური წამების მეთოდს). აშშ ან დასავლეთი ფსიქოლოგიურად და მორალურად არიან დასუსტებულნი ასეთი „სისხლის გამოშვებისაგან“.

მე-5 ცხრილში მოყვანილია პენტაგონის მიერ გრავიტაციული ცენტრის გაერთიანებული ანალიზის მოდელის ვარიანტი, რომელიც ეფუძნება სტრატეგიულ კულტურას. გრავიტაციის ცენტრის დეფინიცია პენტაგიონის მიერ შემოთავაზებული იგივეა რაც იყო ზემოთმოყვანილი. სტრატეგიულ დონეზე, გრავიტაციის ცენტრი შეიძლება იყოს ხალხის მიერ მხარდაჭერილი. დისერტაციიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია რამოდენიმე პერიოდი განვიხილოთ, რომლებიც მოყვანილი აქვე. ერთობლივ გამოცემა 2-01.3 პირდაპირ ხაზს უსვამს: “კრიტიკული შესაძლებლობები არიან მნიშვნელოვანი გარემოება გრავიტაციული ცენტრის ფუნქციონირებისთვის და არის მნიშვნელოვანი სპეციფიკური ან შეჯამებული მიზნების მიღწევაში” (para. 4, pg. IV-12). ვიეტნამის შემთხვევაში, ჯონსონის ადმინისტრაციამ დაკარგა მისი პოლიტიკური მნიშვნელობა. პოსტ-ცივი ომის პერიოდში, პრეზიდენტი ქლინთონი გამოდგა საკმაოდ საზრისიანი პოლიტიკოსი, რომ დაეძლია იმ ტრავმის შედეგები, რაც დატოვა ვიეტნამის ომმა და არ გადმოეტანა ეს ტრამვა სტრატეგიულ კულტურაზე. სომალიში დატრიალებული ტრაგედიის შედეგების

აღიარების ფონზე და ბალკანეთში საჯარისო ოპერაციაზე უარის თქმის შემდეგ, ქლინთონმა კარგად აარიდა ქვეყანას მისი მტრებისა ან პოტენციური მტრების მიერ დაგებული მახეები. "კრიტიკული მოთხოვნები არის პირობები, რესურსები და საშუალებები, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას გქვონდეს მაქსიმალური შესაძლებლობები სრული ფუნქციონირებისთვის და კრიტიკული მოწყვლადობები არის ის ასპექტები ან კომპონენტები კრიტიკული მოთხოვნების როლებიც არიან მოწყვლადი იმ პირდაპირი თუ არაპირდაპირი დარტყმების შედეგად, რომელსაც შეუძლიათ სერიოზული შედეგებზე გავიდეს", (para. 4, pg. IV-12).

მაშინ როდესაც ამერიკელები არიან კმაყოფილნი რომ ყავთ მოსახლეობასთან შედარებით მცირე ზომის მეომრების კასტა, თუმცა მათი ეფექტურობა იწვევს ეჭვებს და სერიოზულ კითხვებს მათ მიერ ჩატარებულ ორი ერაყული და ავღანური კამპანიის წარმოებისას. იმის ფონზე, რომ მოწინააღმდეგის ზეწოლას უშუალოდ ამერიკელები ვერ გრძნობენ თავიანთ სახლებში, ამ დაძაბულობის წყარომ შეიძლება დააბრუნოს გაწვევა, როგორ მე გამოვხატავ მე-5 ცხრილში, ზეწოლა შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი იმდენად რომ საზოგადოებრივი აზრის ცვლილება გამოიწვიოს სწორედ მეამბოხეების მიმართ. მუდმივი განთავსება მცირე ხნით ამ საბრძოლო ზონებში და მათთან დაკავშირებული ფენომენალური დანაკარგებმა, დაჭრილ-დასახიჩრებულთა სახით, შეიძლება გამოიწვიოს დიდი უარყოფითი ეფექტი სამხედრო სამსახურში წასვლაზე და დააწვეს მძიმე ხვედრად ქვეყნისთვის.

Figure 5 – Center of Gravity analysis framework from Joint Publication 5-0 – Joint Planning, 2017

Strategic culture feature application is mine. Vulnerabilities correspond to inverse features of warrior strategic culture

Friendly strategic center of gravity in operations such as stability and counterinsurgency/counter-terrorism

Center of Gravity	Critical Capabilities
Support of the populace/Will of people	Political viability Continued operations International credibility
Critical Requirements	**Critical Vulnerabilities**
Strong polling results Budget approval and bipartisan progress related to conflict Unity Adequate troop or force levels Presence and solidarity in IOs	Coin – increasing fiscal cost Time – drawn-out, protracted conflict Lives – steady causation of casualties Force adequacy – OP tempo high / dwell time low
Advantage with friendly forces only if swift, effective overwhelming force or assets can be applied and only modest casualties – collateral damage minimum	*Natural, home-field advantage to enemy/insurgents/terrorist to execute long-game or long march. Protracted war with high cost in blood & coin, but sufficient and appropriate surge to create stress and doubt on force adequacy*

რაც შეიძლება წარმოჩინდეს ნათლად, აშშ-ს წინააღმდეგ არაკონვენციური მტრების მხრიდან მისი სტრატეგიულ კულტურაზე დარტმა არის მოსალოდნელი. ამიტომაც კონვენციური საშუალებებით მათი დამარცხება არ არის მართებული. სხვა მტრები აცნობიერებენ ჰიბრიდული ომის საშუალებების გამოყენებას უპირატესობის მისაღებად, მაშინ ამერიკულირ სტრატეგიული კულტურის სისუსტე აშკარად წარმოჩინდება და აუცილებლობა შეიქმნება რომ უფრო მოქნილი კონვენციური ძალებისა ან კრიმინალური დაჯგუფებების წინააღმდეგ საჭირო იქნება უფრო სხვა საშუალებების გამოყენება.

ისტორია აჩვენებს რომ სტრატეგიული კულტურისთვის დამახასიათებელი ისეთი ჩვევები, როგორებიცაა სწრაფი რეაგირება, ნაკლები დანახარჯები და მოზომილობა ნაკლებად არის გამოსადეგარი თუ აშშ-ს მტერი პირდაპირ დაარტყამს. ზოგად კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომი და მასთან ასოცირებული პერიპეტიებმა გამოიწვია ისეთი სახის თაობის ჩამოყალიბება, რომელთათვისაც კოლექტიური ძალისხმევა, თვითგანწირვა და დისციპლინა იყო ჩვეულებრივი მოვლენა. მაშინ როდესაც იყო და იქნება სრული წარმოდგენა ომის

მზაობის მიმართ, მეორე მსოფლიო ომმა აჩვენა რომ ამისთვის ნაკლებად იყვნენ მზად ამერიკელები და ამას მოწმობს პიერლ ჰარბორის შეტევა და მისი შედეგები, რომელიც გახდა სამიტივაციო ფაქტორი მათთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ როგორ ეხმიანება სტრატეგიული კულტურა და ჩემს შემთხვევაში მებრძოლი სტრატეგიული კულტურა მეორე კონცეფციას ჰიბრიუდლი ომის ფენომენს. მოცემული კონცეფცია ავითარებს თეზას, რომ ქვეყნები ცდილობენ უფრო მეტად დააზიანონ მოწინააღმდეგის გრავიტაციის ცენტრი ვიდრე მისი სამხედრო სტრატეგიული დაგეგმარების პრინციპები. ამავე დროს ამ ომისთვის დამახასიათებელი მომენტები მრავალფუნქციური მოთამაშსების ან სააგენტოების ჩართულობა, ისვე როგორც თვით შეზღუდულობა სამართლებრივ ან ეთიკურ შესაძლებლობებში პირდაპირ უქმნის თავსებადობას სტრატეგიულ კულტურას. ამავე დროს სტრატეგიულ კულტურაზე მოქმედებს ჩვენი ტემპერამენტი და მოზომილი მტრობის იმიჯი.

ამ მხრივ მნიშვნელოვან მომენტს შეადგენს სამხედრო ძალის რესურსის მოთხოვნა მოწინააღმდეგესთან ან მოწინააღმდეგეებთან შერკინებისთვის, რომელიც გამოიხატებოდა ადრე სხვადასხვანაირად. ამან ჩვენ მიგვიყვანოს იმ მოსაზრებამდე, რომ ჩვენი მეომრების კასტის საბრძოლო ტემპი არის ზიანის მომტანი და შეფასებიდან გადახრის შემთხვევაში შეიძლება იოლად გადაიქცეს დეფიციტად რადგანაც ჩვენ მიგვიწევს ამის კომპენსირება ან გავზარდოთ ძალა ან ვისესხოთ ფული დავეხმაროთ სხვებს და ასე შევიძინოთ ეს ძალა. ემიგრანტთა გარკვეულ წრეებში განიხილებოდა იდეები რომ განვითარებული ჰიბრიდული ომის მოდელი. თუ პოტენციური მოწინააღმდეგე შექმნიდა საფრთხეს, არალეგალური ემიგრაცია ააშენებდა კედელს და გაზრდიდა სასაზღვრო საპატრულო ოფიცერთა კორპუსის რაოდენობას რათა გაძლიერებულიყო დაცვა, ამით კი გაიზრდებოდა მეომართა კასტის ეფექტურობა და გაიზარდებოდა მათი რაოდენობა. ამჟამად რთულია ასეთი რამ შესთავაზო ამერიკელ მოქალაქეებს, რომლისთვისაც გრძელვადიან საფრთხეს წარმოადგენს არალეგალური

ემიგრაცია სიღატაკის და სოციალური დაუცველობის სახით და ამ შემთხვევაში ჯვაროსნული სულისკვეთების გამოყენება სავსებით მიუღებელია.

აღნიშნულმა კვლევამ დაადასტურა აბსოლუტურად თუ არა, მაგრამ ძირითადად ჩემი ჰიპოთეზის თითქმის ყველა ელემენტი. ჩემი კვლევის მეორადი განხილვა და ჩემს ნამდვილ კვლევაში, ინტერვიუების და სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები ადასტურებენ, ეს ეხება სამოქალაქო და სამხედრო პირების გამოკითხვებს, რომ საზოგადოება საკმაოდ დაშორებულია სამხედრო სფეროს და როცა ეს შესაძლებელია, სამხედრო ქმედების იოლად და ნაკლები დანახარჯებით დასრულება. ავღანეთში მიმდინარე მისია არის ამის გამონაკლისი და გარჯვეული გადახრა გამოიხატება იმაში, რომ მჯერა, 9-11 ტრაგედიის შედეგი კვლავ აღელვებს საზოგადოებას, რადგანაც 9-11 შეტევამ ჩვენს მიწაზე დახოცა უდანაშაულო ადამიანები. სწრაფი და ჩქარი (ან ძალის პრაქტიკულად ეკონომიკურად გამოყენება) მიდგომის სტრატეგია გამოყენება დაიწყო ბუშის ადმინისტრაციამ დაიწყო 9-11 მოვლენებამდე და მაშინდელი სტრატეგიული კულტურა განიცდიდა იმ პოლიტიკის გავლენას, რომელიც უკავშირდებოდა 2003 წელს ერაყში შეჭრას (Shanker, 2003; Gompert et al, 2014). როგორც კი მედიამ ნეგატიურად გააშუქა დაზვერვის მიერ დახატული სურათი მასობრივი განადგურების იარაღის თაობაზე, საზოგადოებამ და პოლიტიკოსებმა მოითხოვეს ერაყიდან გამოსვლა. როგორც ჩემმა კვლევამ დაადსტურა, ჯვაროსნული სულისკვეთება და ტექნოლიგიური ცვლილებებისკენ მიბმულობა წარმოადგენს ცივი ომიდან მოყოლებული დღემდე მნიშვნელოვან როლს.

ნაშრომის და ჰიპოთეზის სეგმენტი მოითხოვს და მიუთითებს რომ კიდევ უფრო ღრმა სამუშაო უნდა ჩატარდეს და სხვა კვლევის მიზნის ფარგლებში უნდა წარმოჩინდეს თუ რეალობაში როგორ აფასებს ამერიკული საზოგადოება ამ პროცესებს და მათი მიდგომები არის შეუსაბამო. როგორც მე ვაანალიზებ და ვასკვნი, გამოკითხვების შედეგად, სამხედროებს რა განწყობები გააჩნია და რას სწამთ ჩვენს პოტენციურ მტრებს ან მოწინააღმდეგეებს (Moelter, 2002; Mahnken, 2006; Timeline: Messages from Bin Laden, n.d),

აღნიშნული კი ეწინააღმდეგება ჩემს მიერ უშუალოდ ჩატარებულ კვლევის შედეგებს და რას სხვა მკვლევარები და პოლიტიკური ანალიტიკოსები ასკვნიან.

იმ ფონზე, როდესაც ჩემი ჰიპოთეზის მასშტაბი და კვლევა მოითხოვდა ჩემი მიდგომების გაფართოებას, შესაბამისი კითხვები იქნა დასმული და წარმოჩინდა რამოდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი. პირველი კითხვა მდგომარეობდა იმაში, რაში გამოიხატებოდა ამერიკის სტარტეგიული კულტურა. ამავე დროს, კვლევამ წარმოაჩინა თავის დროის ფორმატსა ან მიმდინარეობისას რა ცვლილებები მოხდა ამ მიმართულებით და ვინ იყვნენ მისი აგენტები ან ცვლადები. ვიეტნამის ომის და პოსტ-ვიეტნამის თაობებმა განიცადეს თაობათა ტრანზიცია დიდი დეპრესიის და მეორე მსოფლიო ომის თაობების მიერ გადმოღებული ძლიერი გავლენის გათავისუფლებიდან, რომლებიც მომდინარეობდა „დიდი პირების“ საუბრებიდან და იმ პოლიტიკური ზეწოლიდან განომდინარე და რა სამხედრო მიდგომებიდან იქნა მიღებული. მაგრამ სავალდებულო სამსახურის წარმატებული გაუქმების შემდეგ, რასაც თან ახლდა „იმ სისუსტიდან“ გამოსვლა რეიგანის არჩევანის შედეგად, მოხდა ცივი ომის ტრიუმფარული დამთავრება. ჩვენი სტრატეგიული კულტურა გვეუბნება ჩვენ თუ როგორ უნდა დავძლიოთ, თუ არ წარმართოთ „მესიანიზმი“ საკმაოდ სწრაფად და შეძლებისდაგვარად იაფად.

ბოლო კითხვაზე პასუხები არის ნათელი და აჩვენებენ საიდან წარმოიშვა ამერიკული სტრატეგიული კულტურა. ამერიკული რწმენა იზოლაციონალიზმში და წმინდა თავდაცვითი ხასიათის მიდმოგემის გამომუშავებაშუ კონფლიქტის წარმართვისას ყოველთვის იყო სახეზე, თუმცაღა ცივი ომისა და პოსტ-ცივი ომის მოქმედებებში, სადაც დაფიქსირებული იყო ჯვაროსნული ლაშქრობების და განსაკუთრებლობის მიდგომების ფაქტორები, აშშ ჩაითრია, ვიდრე ჩართო უშუალოდ ამ პროცესებში. ურთიერთკავშირი მსოფლიოს პროცესების, საოკეანო სივრცეების დაძლევა, როგორც ბარიერების და კონტინენთშორისი სარაკეტო კომპლექსების გამოჩენამ და სტრატეგიული ბომბდამშენების ფაქტორმა წარმოაჩინა იზოლაციონალიზმი როგორც შეუსაბამო კონცეფცია. 9-11 ტრავმამ შექმნა ძალიან დიდი გადახრა ცალმხრივი ან

შეზღუდული კოლექტიური ქმედებებისკენ - უფრო მეტად თუ ეს საჭიროა წინასწარდაგეგმილი.

აშშ-ს მომავალ თაობებს ექნებათ მოკლე მახსოვრობა იმ მოვლენების ირგვლივ, რომელიც ეხება თავდაცვის სფეროს. როგორც ბაცევიჩი (2013) და ჩემი ინტერვიუები აჩვენებენ ფოკუსი ბრუნდება უკან ფულის კეთების სურვილისკენ და ეს სურვილი აღემატება ყველაფერს.

აღნიშნული კვლევა გასცდა იმ ჩარჩოებს, რომლებსაც მკვლევარები უკავშირებენ ამერიკულ სტრატეგიული კულტურის მხარეს და წარმოაჩენს იმ საკითხთა ნუსხას, რომელსაც ეხებიან ეროვნული უსაფრთხოების კვლევებში შემავალი აკადემიური დისციპლინები: სოციოლოგია, პოლიტიკური მეცნიერება, ისტორია და მედია/კომუნიკაციური სწავლებები. ჩემი დისერტაცია ცვლის პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებთა და სამხედრო ლიდერების ხედვებს, რომელიც ეხება ისეთ თემას, როგორიცაა თუ რა მოტივაცია და გავლენის გამომხატველი ფაქტორები არსებობენ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის და მიმართულებების ჩამოყალიბებისას. აღნიშნული ნაშრომი კითხვის ქვეშ აყენებს იმათ მოსაზრებებს, რომლებიც თვლიან, რომ კულტურის როლი მინიმალურია ომის დაწყების გადაწყვეტილების მიღებისას ან გადაწყვეტილების მიღებისას, რაც უკავშირდება სტრატეგიულ ბუნებას და რომლებსაც ღებულობენ მარტო ელიტები.

კვლევა ასკვნის, რომ აშშ-ს სტრატეგიული კულტურას გააჩნია რამოდენიმე მომენტი („მეომრის სტრატეგიული კულტურა“), რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ განხილვას. ჩვენი ჩართულობა ღია ბრძოლებში ან საომარ მოქმედებებში წარსული კონფლიქტების და ოპერაციების სახით, რომლებიც ცოტა სხვაა ვიდრე ომი მიანიშნებს იმას, რომ წარმოჩინდება სუსტი მზაობა და რეალურობის შეგრძნების დაფიქსირება მეომრის სტრატეგიული კულტურის რამოდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტის მიმართ. საინტერესოა იქნება კი მომავალი კონფლიქტი თანატოლი მოწინააღმდეგის მიმართ ისეთი, სადაც მეორე მხარე აღიარებს ამერიკის „მეომრის სტრატეგიულ კულტურის“

სუსტ მხარეებს, რომლებიც შეიძლება ასახული იქნას ღია ბრძოლების პერიოდში და რამდენად შევძლებთ ჩვენ მათ აღმოფხვრას.

პუბლიკაციები, რომელიც ეხება დისერტაციას:

1. Scott, J. (2017). Scots in America. *Journal in Humanities,* 6(2), 45-49.
2. Scott, J. (2019). Who Serves? Recruiting in the Marketplace. *Journal in Humanities*, 7(2), 39-42.
3. Maisaia, V., Scott, J. (2018). Jihadist Hybrid War as Military Strategy for Aggressive Non-State Religious Actors – Main Characteristics and Doctrinal Implications of Modern Terrorist Organizations (Daesh, Taliban, and 'Caucasus Islamic Emirate' cases). *Ante Portas – Security Studies,11*(2), 269-288.